ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №183919

ნომერი: AR153590

თარიღი : 24.05.2012

გაცემის თარიღი : 25.05.2012

გაცნობის თარიღი : 25.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდლის , N 9 , (ნაკვეთი 01/107) / ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9 , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/119)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9 , ქუჩა წინანდალი N9 მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან ჯღარკავა პ/ნ 01013016713
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 11 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 აპრილის №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 24 მაისს №AR153590 განცხადებით მომართა შპს კარდეოლოგიური კლინიკა "გული"-ს გენერალური დირექტორის მინდობილმა პირმა რუსუდან ჯღარკავამ (24.05.2012წ. №1-02/147 მინდობილობა) და მოითხოვა 2010 წლის 13 აპრილის №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის

არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 13 აპრილს ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, წინანდლის ქ. №9-ში არსებულ №001.001 მიწის ნაკვეთზე სპეციალურ ზონა 1-ში (სპეცზ-1) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენებით) მიზნით გაიცა №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 876 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.17.13.001.001.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი, კონფიგურაცია და მისამართი, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მისამართად აღნიშნულია ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9 (ნაკვეთი 01/107) / ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9-ს მიმდებარედ (ნაკვეთი 01/119), საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 1516 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.17.13.001.315 (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012205836, მომზადების თარიღი 14.05.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 14.05.2012წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 13.04.2010წ. №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შეიცვალოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, მიეთითოს ახალი საკადასტრო კოდი და დაფიქსირდეს ახალი კონფიგურაცია და მისამართი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 აპრილის №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 876 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 1516 კვ.მ., საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.17.13.001.315, მისამართად მიეთითოს ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9 (ნაკვეთი 01/107) / ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9-ს მიმდებარედ (ნაკვეთი 01/119) და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად;
2. სამშენებლო დოკუმენტაციის კორექტირების დროს გათვალისწინებულ იქნას საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვა, დარეგისტრირებული კონფიგურაციით 162 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთზე, მშენებლობის უფლების გარეშე ან სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის დროისთვის წარმოდგენილ იქნას განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი აღნიშნული შეზღუდვის გარეშე;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 აპრილის №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012205836, მომზადების თარიღი 14.05.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 14.05.2012წ.);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 აპრილის №494 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.